



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N362 2017 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

2017 წელს ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვის უწყვეტობის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ
ღონისძიებათა შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის
შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „2017-2018 წლების ფიჭური
სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული
ტენდერის მეშვეობით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის
2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებულ
კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000033) ვერ გამოვლინდა
გამარჯვებული პრეტენდენტი, ფიჭური სატელეფონო მომსახურების
უწყვეტობის აუცილებლობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური
ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე:

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337
განკარგულებით განსაზღვრულ ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2017-
2018 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის

გამოვლენამდე და შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებამდე, შემსყიდველ ორგანიზაციებს დაერთოთ წება, ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის №2583 განკარგულებით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000078) პირობების შესაბამისად, ამავე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება დაეკისროს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულებით შექმნილ სატენდერო კომისიას, ამავე განკარგულებით დამტკიცებული საქმიანობის წესის შესაბამისად.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი